

№ 10 ყოველ-კვირეული სალიტერატურო ჟურნალი 10 №

წლიური ხალის მოგზავთ:

პირველ ზრემათ მიეცემათ: სტეპნიაკის მოთხრობა „სახლი ვოლგის ნაპირზე“.  
მეორე ზრემათ: ირეთელის ახალი ოთხ-მოქმედებიანი პიესა „სიცილი“.  
პირველი წიგნი დაურიკდებათ თებერვლის დამლევს. მეორე — აგვისტოს პირველ რიცხვებში, ვინც თებერვლის გასვლაზედ სრულად შემოიტანს მთელი წლის ფულს ორივე წიგნს მიიღებს.

შინაარსი: ირეთელი — გერჰარტ ჰუბტრანი. ბ. გელა — ლექ. ჯეჯილს. კ. გოგოლაძე — ლექ. ჰენელან; დოქტრინა. დ. თურდოსპირპლი — მოთ. სალამოს ყაზს. ნ. ზომლეთელი — ლექ. მოლოდინი. თამრო ნაცვლიშვილი — დრამა. მალაროს მუშა (თარგ. ბერმანულიდან) შვარცი — იბსენი. ს. პართენაშვილი — მოთხ. სანდრო. ნ. ჩხიკვაძე — ლექ. ზღვაზე. მაღა. ქიაშვილი — დრამ. შავი გველი.

ყოველ-ღლიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



საუმჯობესოდ მოწუობილი

ს ტ ა მ ბ ა „გეგლვითი  
საქმე“

ბ. კილაძისა თბილისში

ველიამინოვის ქ., № 6

ასრულებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს  
სუფთად და იაფად.



„სახლი სხივი“

მაიდანს ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გამოდის ყოველ დღე, გარდა კვირა უქმის მეორე დღეებისა. გაზეთი ღირს: როგორც თფილისში ისე თფილის გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან. ქალაქ გარეთ: 3 თვით — 2 მან. 50 კ. 1 თვით — 90 კ. თფილისში: 3 თვით — 2 მან. 20 კ. 1 თვით — 80 კაპ.

ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოიგზავნოს: ტიფლის ტიპოგრაფია „შრომა“. კალისტრატუ კონსტანტინოვიჩუ ცულაძე.

# სსივი

შ ი ნ ა ა რ ს ი:



10 №

კვირა, 14 თებერვალი ეოჟელ-კვირეული სალიტერატურო ჟურნალი 1910 წ.




გერგარტ კაუპტმანი.

## გერგარტ კაუპტმანი\*

გერმანელი, ნატურალისტურ დრამის მამათ მთავარი, გერგარტ კაუპტმანი დაიბადა 1862 წელს 15 იანვარს. საბელჯალტურის ანგარაკში, სილეზიაში მისი მამამ სასტუმროს პატრონი იყო. გერგარტმა პირველ დაწყებითი სწავლა ადგილობრივ სკოლაში მიიღო. შემდეგ შევიდა ბრესლავლის გემნაზიაში. აქედან ის სამხატვრო სკოლაში გადავიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ბრესლავლიდან იენაში გადასახლდა, სადაც უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა. ის იქ ისმენდა ლექციებს ფილოსოფიაზე და ბოტანიკაზე, მაგრამ ახალგაზრდა სტუდენტისთვის უნივერსიტეტზე უფრო მეტი მნიშვნელობა ქონდა აკადემიურ საბუნებისმეტყველო—სამეცნიერო წრეს, ის იყო წრე ახალგაზრდათა რომელთაც რეალური განათლება მიეღოთ, ერთად ერთ ხსნას ორ დიდებულ გონებრივ ძალაში ხედავდნენ, ბუნების მეტყველებაში და სოციალურ პოლიტიკაში. დარვინი ამ წრის კერპი იყო. საბუნების მეტყველო სამეცნიერო იდეები, რომელიც მან მთელ კაცობრიობას უძღვნა, ამ წრეში გაცხარებულ კამათს იწვევდა. ამ გარემოებამ ღრმა გავლენა იქონია კაუპტმანზე, რასაც შედეგათ მოყვა ის ნატურალისტური მსოფლ-მხედველობა, რომელიც აშკარათ გამოიხატა მის

\*) П. Когань Очер. по ист. зап. Евр. Лит.



პირველ ნაწარმოებში. მაგრამ დარვინს გარდა მას სხვა მასწავლებელიც ყავდა — ეს იყო კარლ მარქსი. განუტეინის სიტყვით, რომელიც კარგათ იცნობდა ჰაუპტმანს, იმისთანა კაცი მეორეარ მოიძებნებოდა, რომ ისე ძვალსა და რბილში ქონებოდა გამჯდარი და შესისხლხორცებული სოციალური ინსტიტუტები. ის გატაცებით კითხულობდა ყველაფერს რასაც წერდნენ სოციალოგიაზე ნატურალისტები, პოლიტიკოსები და თეოლოგები. წიგნების გარდა ის თვით ცხოვრებისაგან იღებდა და ითვისებდა სოციალურ იდეებს. ჯერ კიდევ ბავშობისას ის ხედავდა თავის მამის სასტუმროში მდიდარ სტუმრებს და ის განცვიფრებაში მოჰყავდა იმ განსხვავებას, რომელიც ამ მდიდრებსა და ადგილობრივ მცხოვრებ ღარიბ-ღატაკებს შორის იყო. ღარიბთადმი თანაგრძნობამ მაგრამ გაიდგა ფესვები მის გულში. იენიდან ის გადასახლდა თავის ძმასთან ჰამბურგში და აქედან ესპანიისა და იტალიისაკენ გაემგზავრა. ჰაუპტმანი ესტეტიკოსი და პოეტი იყო. სამხატვრო სკოლაში ყოფნამ, იტალიის და ესპანიის თვალის წარმტაც მიღამოების ნახვამ ძლიერ ხელი შეუწყოს მის ბუნებრივ ესტეტიურ ნიჭის განვითარებას. 1885 წელს სამშობლოში დაბრუნებისას ჰაუპტმანმა შეირთო მდიდარი ქალი, ამ ქორწინებამ საშვალეა მისცა მას აღარ ეზრუნა დღიურ ლუქაზე და თავისუფლათ განეგრძო საქმე. ის დასახლდა ბერლინის განაპირა, ერკნერში.

1889 წელს 28 ოქტომბერს ბერლინის თეატრში პირველათ დასდგეს ჰაუპტმანის პიესა. ამ პიესამ, რომელშიაც მთელი თავი სიტუაციით წამოყენებული იყო სინამდვილე, საზოგადოებაში ერთი აურზაური გამოიწვია. წარმოდგენის დროს დარბაზში ერთი ალიაქოთი ასტყდა. დაიწყეს ყვირილი, მსახიობებს თამაშს არ ანებებდნენ. როგორც იქნა დიდის ვაი ვაგლახით ბოლომდის ჩაატარეს პიესა. მეორე დღეს გაზეთებმა განგაში ასტყეს, ჰაუპტმანს, მოუხეშავი ნატურალისტი, საზიზღარი დრამატურგი, პოეზიის ანარქისტი უწოდეს. ასე შეხვდნენ ნატურალისტურ დრამის მამათმთავარს გერჰარტ ჰაუპტმანის პირველ გამოცვლას ბერლინის თეატრში.

ჰაუპტმანის ნაწარმოებში ყველაზე შესანიშნავია დრამა ფეიქრები\*) აქ ჰაუპტმანმა წამოაყენა მუშათა კითხვა მთელი თავისი მრისხანე მნიშვნელობით. ფეიქრები — საზოგადოებრივი დრამაა, დრამა მასიურ ფსიხოლოგიის და არა ინდივიდუალურის. აქ ნათლათ დახატულია კაპიტალისა და შრომის ურთიერთობა

\*) ამ დრამის გამოცემას, ქართულ ენაზე, უკვე შეუდგა ვასილ გადილია და ამ მოკლე ხანში გასასყიდათ მზათ იქნება.

დრეისიგერი (ჰაუპტმანის გმირი, ფაბრიკანტი) ნამდვილი თანამედროვე კაპიტალისტი. მას საფსებით შესწავლილი აქვს დღევანდელი მდგომარეობა და თავის მტრების წინააღმდეგ მოფიქრებულ და რთულ ბრძოლას ეწევა მან კარგათ იცის როგორ უნდა ყვლიფოს მუშები, რომ ხმა ვერ ამოიღონ. ფეიქრები აუტანელ შრომას ეწევიან, შიმშილით იხოცებიან, დრეისიგერი მათ უკანასკნელ ლუქმას აცლის ხელიდან, მაგრამ ისე დაბეჩავებული და დამონებული ყავს ფეიქრები, რომ ხმის ამოღება ვერვის გაუბედნია. ავტორი სავსებით გვიხატავს ფეიქართა ჯოჯოხეთურ მდგომარეობას. მათი შვილები შიმშილისაგან დასიებულინი არიან. მოხუცი კაცები და ქალები ძლივს მიათრევენ ფეხებს, კისერ წაწვდილი დაუსვენებლივ მუშაობენ. მათ ისე ექცევიან, როგორც უსულო მანქანას, ხმას ვერავინ იღებს. თუ ვინმემ გაბედა ხმის ამოღება დრეისიგერის კანტორის მოხელეებს მზათ აქვთ პასუხი: „თუ არ მოგწონთ ჩვენი სამუშაო მიბრძანდით“ო. თვით დრეისიგერი კი არ ჩნდება ასეთ შემთხვევების დროს ის ისე აჩვენებს ყველას თავს თითქო ყველასათვის კარგი სურდეს, ნამდვილათ კი თავის მოხელეების შემწეობით ყველას ტყავს აძრობს. ასეთია ჰაუპტმანის გაწრთენილი და გამოქანბრებული ფაბრიკანტი.

ფეიქრები პირველათ დასდგეს ბერლინში 25 სექტემბერს 1894 წელს, მას შემდეგ სამი წლის განმავლობაში ორასჯერ დასდგეს.

გერჰარტ ჰაუპტმანმა ნამდვილი რევოლიუცია მოახდინა თეატრში. მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი ნატურალისტურ დრამას.

ირეთელი.

## ჟ ე ჯ ი ლ ს.

(იუბილეის გამო)  
იზარდე, მწვანე ჯეჯილო,  
დაპურდი, გახდი ყანაო.

ი. დ.

ბიბინებს მწვანე მინდორი,  
ჯეჯილი, ლურჯ-კაბიანი,  
ფრთებ-გაშლილი და მალხაზი  
ცქრილა თვალებიანი.  
სხივი ციმციმა, ნარნარი  
ქორფა ფრთებს ჩაჭკონებია.  
ნიავი დაჭქრის ნორჩ ყანას,  
სამო ისმის ხმებია:  
„იზარდე, მწვანე ჯეჯილო,



დაპურდი, გახდი ყანაო,  
იკურთხოს იმის მარჯვენა,  
ვინც გთესა, მოგიყვანაო.“

ქიკქიკი ისმის საამო  
მალხაზი ჩიტუნებისა;  
მყწერიც ჯეჯილში გოგმანობს  
ბანის მიმცემი ხმებისა:  
„ამაღლდი, თავი დაისხი,  
ჯეჯილო, ნორჩო ყანაო,  
იკურთხოს იმის მარჯვენა,  
ვინც გთესა, მოგიყვანაო!“

სოფლის პატარა დათიკომ  
მდინარით ამოირბინა,  
და ჯეჯილს ხელი შეახო  
მოჰკრიფა, ეგრ მოითმინა,  
მოჰკურცხლა გახარებულმა  
შამამისს მიურბენინა.  
შამამ სთქვა „ნორჩო ჯეჯილო,  
დაპურდი, გახდი ყანაო,  
იკურთხოს იმის მარჯვენა,  
ვინც გთესა, მოგიყვანაო.“

\* \*

მიყვარხარ, მწვანე ჯეჯილო,  
შენს ახლო დავიბადეო,  
შენს ახლო პირი ვიბანე,  
ავმალღდი, ავიზარდეო,  
შენმა ცქრილა თვალებმა,  
მასწავლეს სწორათ ცქერაო,  
შენმა ბიბინმა, შრაილმა—  
ტკბილი ხმა, ტკბილათ მღერაო.  
და მეც გისურვებ, ჯეჯილო,  
„ამაღლდე, გახდე ყანაო,  
იკურთხოს იმის მარჯვენა,  
ვინც გთესა, მოგიყვანაო!“

ბ. გელა.

### ჰ ე ი ნ ე დ ა ნ .

\* \*

როცა ჩავცქერი შენსა თვალებსა, —  
გულს ქარიშხალი მყისვე შორდება!

როს ვეკონები მე შენს ბაგესა, —  
სულსა სწამს მაშინ სულ სხვა ცოვრება!..

როს მივერყდნობი მე შენსა მკერდსა, —  
გმორღები მიწას, ედემში ვჩნდები...  
ითხარ „მიყვარხარ“ და მეც არ ვიცი,  
თუ მაშინ ცრემლათ რისთვისდა ვდნები!..

### დ რ ძ რ ი ნ ა .

აიღე დოლი და ნუ გეშინვის,  
ჰკოცნე ბაგენი ლამაზ ქალისა,  
ჰა, მთელი აზრი ფილოსოფიის.  
ჰა, მთელი აზრი ხელოვნებისა!

დაჰკარი მძლავრად, რომ იმა ხმებით  
ძილი დააფრთხო მძინარებისა,  
თითონ წინ გასწი, წინ გაბედულათ,  
ჰა, მთელი აზრი ხელოვნებისა!..

ჰა, დასაბამი ფილოსოფიის,  
აი, ბებელი!.. ა, წიგნთა სიბრძნე,  
კარგა ხანია მედლოე გავხდი,  
კარგა ხანია მე ეს შევიგნე!..

\* \*

ძილში ვსტიროდი: მე დამესიზმრა  
ვითომ შენ მოკვდი. ცრემლად ვდნებოდი...  
გამომეღვიძა და ცხარე ცრემლით  
ისევ და ისევ ვიმდღურებოდი.

—

ძილში ვსტიროდი: მე დამესიზმრა—  
გადამავიწყდი ვითომ მე შენა,  
გამომეღვიძა, მარა მე მაინც  
არ შემწყვეტია ცრემლების დენა.

—

ძილში ვსტიროდი: მე დამესიზმრა—  
ჩვენ კვლავ ერთად ვართ, განუშორებლათ,  
გამომეღვიძა. მაინც ვტიროდი,  
მაინც ვდნებოდი მღულარე ცრემლათ...  
\* \*

\* \*

მეფობს წყვილიანი უცხო მხარეში,  
მე დავიდალე, მიკენესის გული,  
მარა გაქრება ტანჯვა რა კი რომ  
ამოვა მთვარე გაბრწყინვებული!..

ოო, მთვარე! შენი ბრწყინვალე სხივნი  
როს ერეკება შიშსა ღამისას,  
შორს მიჰქრის მაშინ ჩემი ტანჯვები,  
და ცრემლებს ვაფრქვევ სიხარულისას?

\* \*

როს ჩემს ტანჯვებზე ვლაპარაკობდი,  
არ მომისმენეს, იწყეს მოქნარება,  
როს ის ტანჯვები ლექსად ავაწყვე,  
მაშინ კი ყველამ დამიწყია ქება!

კ. გოგოლაძე.

# საღამოს ქამს...

მაისის საღამო იყო. დასავლეთისაკენ გადაქანებული მზე უკანასკნელათ უკოცნიდა ბუმბერაზ მთებს ცამდე აზიდულ ქალარა თხემს. ისედაც ტურფა სანახავი არე-მარე უფრო გაღამაზებულყო. თვალ უწვდენელ ტრიალ მინდვრებს აჭრელებული ნოხივით გადაკროდა ზურმუხტის კაბა-ქათიბა. ალაგ-ალაგ ზღვის ზვირთებივით დელავდა დედა-მიწიდან ამომსკდარი ჯეჯილი. მის მახლობლათ იწყებოდა სრულიად ნორჩი, უტეხი ტყე, სადაც მრავალნაირი ფრინველები განუწყვეტელ კონცერტს ეწეოდნენ. კორდიდან მომსკდარი ნაკადული მათ ფეხებ ქვეშ-გამაღებით გზას იკვლევდა, რომ საჩქაროთ მიღეწია წალკოტზე, სადაც ფერადი ყვავილები ნაზათ მოელოდნენ მისგან მარგალიტის ცვრების პკურებას ცელქი ნიავიც ზღაპრულ სიმშვენერით დაჯილდოვებულ არე-მარით მოხიბლული კვლავსათ და პკროდა მდელიოზე ტიტინ-სისინით.

მამა. დავითის მთას ამ სიმშვენერისთვის შეერთებინა თავისი ფრიალო კალთები და საიდუმლოებით გარემოცულობა. თბილისის მცხოვრებთ აღლო აელოთ ამ სიღამაზისა და ქიანქველასავით მოჰფენოდნენ მის კალთებს. ზამთარში მწირათა და პარტახათ გადმომზირალი მთა გადაქცეულიყო უცხო, თვალის დამტყვევ თაიგულათა. ბუნების ქორწილსა და მეჯლისს ჰარმონიულათ უერთდებოდა მთის ძირიდან მონასმენი მელიოდიები:

— ცანგალა გოგონა... უცბათ შესძახეს შუა მთაზე ამოსულმა ახალგაზდებმა და გააჩაღეს დავლური.—ოიდაა გოგონაა... აუმაღლეს ხმას ეშხში შესულებმა და მთლათ დაფარეს ქვევიდან მდინარე ხალხთა ყიჟინ-ჟრიამული.

— Bravo, bravo, bravo! — მოულოდნელათ ჩამოსძახეს მალლა ჩირგვებიდან ცყვებივით თავ გავ მოყოფილმა მოსწავლე ქალებმა და თან სიცილ-კისკისი დააყარეს.

— ერთი შეხედეთ, ყმაწვილებო, იმ კულრა-ქებს, საიდან გვითვალთვალევენ და ჩვენ კი აქ ხახას ვიხლანწავთ ცარიელი ყვირილით— შესძახა ერთმა მომღერალთაგანმა და მსწრაფლ გაექანა ზევითკენ- მას მიჰყვნენ დანარჩენები და გაიმართა კაზმული სიტყვებისა და ქათინაურთა ერთმანეთში გაგადასროლ-გადმოსროლა. „ჩვენ არ ვიცოდით, მშვენიერებო, თუ თქვენ აქ იქნებოდით, თორემ როგორ

გავკადნიერდებოდით და ჩვენის მოუხეშავის ხმით მოგიწამლავდით თქვენ უაღრესათ გრძნობიერ სმენას... ეხლა კი მეტი არა დაგვრჩენია რა, რომ მოწიწებით გთხოვოთ გაგვხადოთ ღირსი და მოგვასმინოთ თქვენი სირინოზის ხმები... დროა ერთხელაც არის გავიგონოთ თქვენი სიმფონიური ნაზი და ზემატაცო გალობა-მღერა, ერთხელაც არის ფრთა შეესხას ჩვენს ოცნებასა და წარგვიტაცოს იმ ქვეყნისაკენ, სადაც თქვენ სთანა ანგელოსები ბანოვანობენ და სულთ მაშვრალს, ნუგეშსა სცემენ, აშოშმინებენ“.


— ოხ, ზეციერო ანგელოსებო— წამოიძახა მეორე ამხანაგთაგანმა, რომელიც მოუთმენლათ ელიდა როდის იქნება მთლათ ენათ ქცეულმა ამანაგმა გაათავოს თავისი სიტყვაო— რომ შევიძლებდე ვარსკვლავებსა წარგვიტაცო კროლოვა, მთვარეს სიბადრე, ფირუზ ზეცას ღვლვა ქათქათი, მდელიოს სინაზე, ვარდს სიმშვენერე და სიხალისე არ დავზოგავდი ყველა ამათ და მოგიღწილი ფეშქაშათა, გულწრფელ საჩუქრათ; რომ შევიძლებდე მთელ ხმელეთის დამორჩილებას, ცისა ეთერთა შეგროვებას თქვენ მოვართმევდით, მაგ ნაზ ხელებში ბურთებივით სათამაშებლათ; რომ შევიძლებდე.

— Глупости, глупости... სიცილ-კისკისით ჩამოსძახეს გაკაპასებულმა ქალებმა და შეუდგენ შეღმართს.

— ადამიანის სიცოცხლე სწრაფია, როგორც ელვა და ხანმოკლე, როგორც წუთი— ელაპარაკება ერთი ცილინდრიანი შუა ხნის ქალს, რომელიც მთვარესავით მიანათებს; მას შავი ზილოფები ბექებზე გველივით გადაჰყრია. მაყვალა ნაპერწკლების მფრქვეველი თვალეები მომხიბლელათა და ეუუუნით გამოიყურებიან ქუთუთოებიდან, რომელსაც შავი წარბები გადაჰფარვიან.

— დიახ, ჩვენი სიცოცხლე ერთობ ხან მოკლეა— იმეორებს მისი რაინდი— და ამდროსაც ვერ ვიყენებთ ხეირანათ. რალაც ჩვენ მიერვე შეთხზულ ზნეობრივ კანონებს შევუპყრივართ და ჩვენი, მე სთვის ფრთები შეგვიკეცია, შეგვიზღუდნია...

სიღამაზე, სიმშვენერე და სიყვარული ყველას ჩვენში შებლალულია, მნიშვნელობა დაკარგული. არა, დროა მიეცეს დასასრული ამ გვარ მდგომარეობას, ადამიანის ყველა საუნჯენი უნდა იხმარებოდეს ისე. როგორც მოგვეგუნებება ჩვენ, როგორც გვიკარნახებს ჩვენი გრძნობები, მიუხედავთ იმისა, საზოგადოება მოგვიწონებს მას თუ გაგვიცხავს. საზოგადოებრივ შეხედულებას თქვენ მიუჯაპვიხართ იმ პიროვნების კერაზე, რომელსაც არაფერი საერთო



არა აქვს რა თქვენთან და რომელიც ურცხვით სა-  
 რგებლობს თავისი მდგომარეობით და ბღალავს  
 თქვენს სიყვარულს. კმარა მოთმინება, მე უარყოფ  
 საზოგადოებრივ შეხედულებას, მე ამიერიდან ველა-  
 რავინ გამომტაცებს თქვენ თავს, მე გავხდები თქვე-  
 ნი მალმერთებელ-მათაჟვანებელი. გაუღე გულის  
 კარი მას რომელიც მოილტვის შენსკენ უწმინდე-  
 სის ლტოლვილებითა, აიგუზგუზე გულში სიყვარუ-  
 ლის ცეცხლი, გამომიწოდე ხელი, შევაწებოთ ბა-  
 გენი ერთმანეთს და ჩავაწნათ სულთან სული და  
 გულთან გული.—აქ ვნებათა ლელვით დამთვრალმა  
 ყმაწვილმა ეშმაკურათ გადაჰხედა ამგვარ სიტყები-  
 საგან მოჯადოებულსა და მიბნედილ ქალს, რომელ-  
 საც ყმაწვილის მიერ ნათქვამი, აღსარება ეგონა ფა-  
 ქიზი, უმანკო გულის ამოძახილი, ხელი გაუყარა  
 ხელში ნიშნათ თანხმობისა და გასწიეს ზევით.

ბუნება თან და თან ლამაზდებოდა. ღამის გუ-  
 შავმა მედიდურათ ამოაცურა ცის ბაზიდან თავი-  
 სი ნავი და ვერცხლის ფერი სხივები გადააფრქვია  
 არე-მარეს, ვარსკვლავებიც თითქოს ამას ელოდებო-  
 დენ ერთათ მოიყარეს თავი მთვარის ვარშემო და  
 ციმციმ-კრთოლოვით ხომლი ჩააბეს, სრულმა საიდუმ-  
 ლოებამ მოიცვა მიდამო ფრინველები ისე საუცხო-  
 ვოთ ქიკჩიკობდენ, რომ გეგონებოდათ ცით ჩამო-  
 ფრენილი ანგელოზები ტკბილ ძილის პირსა მღე-  
 რიანო, თუმცა ძილისთვის არავის ეცალა... მამა  
 დაეითის მთას უფრო და უფრო ემატებოდა ხალხი.

—ვიშ მშვენიერებავ! აღფრთოვანებით წამო-  
 აძახა მგოსანმა, როდესაც მთის მწვერვალიდან გა-  
 დახედა ამწვანებულ მინდვრებს, რომელზედაც მჩქე-  
 ფარე ზვირთებით მოდუღუნებდა მდინარე მტკვარი

—რა საუცხოოა რამ არის ეს ქვეყანა, რა  
 საიდუმლოებითაა მოცული არე-მარე. აგერ ცის  
 ტატნობზე ღრუბლის თეთრი ქულა კრძალულებით  
 ეხვევა გარს პირბადრ მთვარეს, რომ ჩაიხუტოს  
 გულში; აგერ ბაღებში ვაზებს რა ძვირფასი ქულა-  
 ჯა ჩაუცვამთ, და აქეთ კიდევ მდგელოზე რა დაც-  
 ქვეტილათ გამოიყურებიან ყვაილნი, თითქოს  
 საცეკვაოთ ემზადებიანო. მსურს ამ წუთებში ფრთა  
 შევისხა, ლალი მსუბუქი, რომ შევსრიალდე ზეფი-  
 რშია, გავეკრა ზეცას და იქილგან გადმოვხედო  
 მთელს სამყაროს, მსურს უცხო ხმებით ავაუღერო  
 ჩანგი ციური, რომ ჩემს ვარშემო შეგროვილია ძა-  
 ლნი ბუნების გუნდრუკს მიკმევედენ, მიგალობდენ  
 ხმებს ქებათ-ქების. ახალგაზღვრებულსა სიცოცხლისა მომ-  
 ნიქებელო, ტურფა რამა ხარ, დარჩა მარად მაგ-  
 რე ძვირფასი, შესდექ მაგ ადგილს, ნუ, ნულარ

მისწრაფები შენ საზღვრებისკენ... იქ სიბნელეა  
 წყლიაღია გამაცივები, იქ ხაოსია გონებისა გამამ-  
 ძიმები, იქ სიკვდილია სიცოცხლისა გამაქრო-  
 ბელი. შესდექ გენაცვა, დამატბევი მშვენიერებით  
 სიყვარულს აღერსს შენგან უხვათ გადმონაჩქევით.

დ. თურდოსპირელი.  
 (ლასასრული იქნება)

მ თ ლ ო დ ი ნ ი.

ამაოთ ვეძებ ღამის წყვილადში!..  
 ვისიც ნახვა მსურს, მას ვერ ვიხილავე.  
 ან შორით ველი მასზე ტკბილ ამბავს...  
 შენ თუ მომიტან, ცხოვრების დილავე!...

წითელ მანდილით მოირთე თავი,  
 ცელქი ნიავი წამოიღანე  
 და სასურველი მე ის ამბავი,  
 თუ რომ გიყვარდე,—ჩამომიტანე.  
 როს ბუჩქის ძირსა მკერდს გაშლის ია,  
 იქვე, მის გვერდით—ტურფა ზამბახი,  
 ტაროლა ცისკენ შეინავარდებს,  
 ტყის პირს გაისმის შაშვის ჭახჭახი,—  
 მაშინ მეც ფხიზლათ ფეხზე ვიქნები  
 სადმე მომადლო სერზე ან ველათ,  
 და შენც, თუ სიტყვა მზათ გექნეს, ტურფავ,  
 მოდი, მოიქერ მახარობელათ!..

...ამომავალი ტურფა მზის სხივებს  
 ხელით დავიქერ,—გზას მოგიქარგავ,  
 სევდის ცივ ღრუბელთ შეხათ ვეცემი:  
 დავგლეჯ-დავფხრიწავ, შორს გადავკარგავ,  
 დემონს, სატანას, ცხოვრების ჯალღს  
 ქვეყნის პირისგან ავგავ, ავბარგავ,  
 სიცოცხლის ძალას ავნააკადებ!  
 ია— ზამბახთან, ვარდებსაც დავრგავ!..

ამაოთ ვეძებ ღამის წყვილადში!..  
 ვისიც ნახვა მსურს, მას ვერ ვიხილავე,  
 ან შორით ველი სანატრელ ამბავს—  
 შენ მომიტანე, ცხოვრების დილავე!..

ნ. ზომლეთელი.

# მ ა ლ ა რ ო ს მ უ შ ა .

(დასასრული იხ. სხივი № 9)

## გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი ს ა მ ი .

აგაბ ბურგერი (შემოდის და უშბლიდან ოფლს იწმენდს, გადახედავს გრეტიეს.)

ბურგერი.—გრეტიეს სძინავს?...  
ჭკრმანი. (გაუწვდის ხელს, შიშისაგან ცახცახებს) სხვა, როგორ არის საქმე, მამი?

ბურგერი. კარგათ ჩაიარა, შვილო. სულ ნახევარი საათი ვილაპარაკე, ამ დროს კიდევ დეპეშა მოგვივიდა, რომ დახმარებას გვპირდებიან. ხვალ დილიდან მუშაობას არვინ არ აპირებს მაღაროს პატრონებს კონფერენციის მოწვევა უნდათ.

ჭკრმანი. (ძალ დატანებით).—და შენც ილაპარაკე, მამი?  
ბურგერი. (თავს დაუქნევს).—ღიახ! არ ვიცოდი თუ შე ამდენ გავლენას მოვახდენდი.

ჭკრმანი.—ეს მამი...შე ეს ვიცოდი (პაუზა)  
ბურგერი.—(ფეხაკრეფით უახლოვდება გრეტიეს).—რა მაგრა სძინავს! ეტყობა დღეს კარგათ გრძნობდა თავს.

ჭკრმანი. (თვალს არ აშორებს ბურგერს).—ჰო მამი მაგრამ გრეტიე, . . . მოკვდა  
ბურგერი (ენა ჩაუვარდება. საშინლათ გაფითრდება უნდა რაღაც სთქვას მაგრამ ენას ვეღარ სძრავს სასოწარკვეთილი ხმით დაიკვნესებს) მოკვდა!?

ჭკრმანი.—მოკვდა!... უცბათ.. მოულოდნელათ მამი პატარა გულის ძვრა.....  
(ბურგერი გაშეშებული სდგას და სიტყვა ვერ უთქვამს ჰერმანი ისევ ისე სდგას)

ბურგერი. (სულის მოიბრუნებს)—ჩემ შემდეგ..... კიდევ ბევრი ილაპარაკეთ?...  
ჭკრმანი.—(მიკნაევებული ხმით)—ბევრი, მამი!

ბურგერი.—რაზე?  
ჭკრმანი.—ბევრ რამეზე ვილაპარაკეთ სამწუხარო ამბები. მხოლოდ უნდა იცოდეთ, მამი, რომ მთელი ერთი საათი გრეტიესთან ტკბილათ ვატარე.

ბურგერი. (იჩოქებს გრეტიესთან) ო-ოჰ, ჩემო შვილებო! ჩემო შვილებო! ახ ჰერმან, გრეტიეს არ უხდებოდა მაღაროს მთებში ცხოვრებაეჰ თქვენ რომ აქედან თავის დროს მომეშორებინეთ,

მაშინ თქვენ ამ დღეში აღარ იქნებოდით. ჭკრმანი.—ახ, მამი, ამას როგორ ამბობ? განა შეიძლება ეხლა ამაზე წუხილი? თავის დროზე შეუძლებელი იყო და ეხლა კი გვიანდა იყო (პაუზა)

ბურგერი.—განა ეს საშინელება არ არის?! როცა ჩემები იხოცებიან, მე შინ არას დროს არ ვყოფილვარ..... განა ეს საკვირველი არ არის?

ჭკრმანი.—ეს ასეც უნდა ყოფილიყო, მამი. აქ გასაკვირველი არა არის-რა! შენ ყოველთვის საშუაოზე იყავი, ეს თავის თავად ასეც უნდა ყოფილიყო. (მიყავს მამა ოთახის მეორე კუთხეში)

ჭკრმანი.—ახლა მიაშბე, მამი, როგორც იყო ყველფერი, და რა მოხდება ხვალ

ბურგერი. (კითხვას ცოტა არ იყოს უხვევს)—აცივდა თუ არა ნახშირზე მეტი მოთხოვნილებაა. ამ გარემოებამ კი აიძულა ჩვენი ნახშირის მაღაროების პატრონები, ჩვენ მოთხოვნილებებს უურადლება მიაქციონ. რასაკვირვლია, ეს ჩვენ გადაწყვეტით არ შეგვიძლიან ვსთქვათ, მხოლოდ ჩვენ ახლა უფრო ძალა მოვიკრიფეთ, ურთიერთ შორის სოლიდარობა გაძლიერდა.

ეს-კი უმთავრესია ამ ჟამათ. კიდევ რა უნდა გითხრა ჩემ წინააღმდეგ ბრალდება არის წამოყენებული, პასუხის გებაში მაძლევენ ამ ერთი კვირის წინათ, რომ გაზეთში წერილი იყო გაფიცვაზე, შენ იცი ის წერილი....

ბურგერი. (განცვიფრებული)—შე რომ დავწერე?...  
ჭკრმანი.—ჰო.

ჭკრმანი.—(რილაკის თქმა უნდა, მაგრამ შეჩერდება და დაფიქრდება).—მაშ, მამი, შენ სასჯელი მოგელის?!

ბურგერი.—ეჰ, სულ რამდენიმე კვირა.  
ჭკრმანი.—(ცოტა ღიმილით).—მერე, მამი, უკეთესი არ იქნებოდა იმ წერილის გულისათვის შენ ჩაჯდე ციხეში ვიდრე მე! არა?

ბურგერი.—ეს ხომ თავის-თავად ცხადია ჩემო საყვარელო შვილო. (პაუზა)  
ჭკრმანი.—ახლა-კი, მამი, ჩვენ გრეტიეს სიკვდილი უნდა გავამჟღავნოთ, არა?

ბურგერი. (მიუბრუნდება ისევ გრეტიეს).—მე არა მჯერა გრეტიე, თუ შენ მკვდარი ხარ...  
გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი ო თ ხ ი .

(ყველანი თითო-თითოთ შემოდინ მეტად აღელვებულნი).



ბახი.—ბურგერი აქ არის, ჰერმან ბურგერ, წაიშო-  
დგინეთ თქვენ ცეხში ცეცხლი გაჩნდა.

ბურგერი.—როგორ?

ბახი.—ეს უსათუოდ იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ  
უკანასკნელ დღეებში საკმარისი ვენტილიაცია  
არ იყო.

ბურგერი.—(კიდევ იმეორებს).—როგორ?

ერთი მუშათაგანი. მაღაროს—ერთ პატარა მო-  
შორებულ ალაგას აფეთქება მოხდა.

ბახი. სამი მუშა, რომლებიც იმ დროს იქ იყვნენ,  
წავიდნენ ცეცხლის ჩასაქრობათ და ცხენების  
გადასარჩენათ.

მახუცი ვიდეკე. (აღელვებით).—მართალია, რომ ჩემი  
შვილი ქვეშ მოყვა?!!

ბახი. მე მგონია. ის სწრაფათ იქით წავიდა, ვინ  
იცის იქნება შიგ მოყვა კიდევ, დედა ვილკე!

მახუცი ვიდეკე. (მწუხარებით).—ეგ იყო ერთად ერ-  
თი ჩემი იმედი და თქვენ იქ დაასამარეთ ის  
არ კმაროდა, რომ თქვენ აგყვით და ურწმუნო  
გახდა..... ის ჩემი ერთად ერთი იმედი. (ტირილს  
დაიწყებს და უნდა გარეთ გაეზარდეს)

ჰერმანი. (ებლაუქება).—დაწყნარდით, დედა ვილკე,  
ნუ ლაპარაკობთ, თუ ღმერთი გწამს, სისულე-  
ლეს. შენ შვილზე ნუ სწუხარ, ისევ ამოვა  
ქვევიდან. (ჰერმანი ერთს-კი შეხედავს თავის  
მამას და შეუმჩნეველათ საჩქაროთ გადის გა-  
რეთ).

ბახი.—ძალიან საწყენი-კი იქნება, რომ მართლა ის  
ყმაწვილი იქ დაიღუპოს.... (მიუახლოვდება  
ბურგერს). ბურგერ, შენ დაღლილი უნდა  
იყო, იქ ნუ წახვალ..... მე წინათვე უნდა  
მეთქვა, რომ შენ ძალიან ცუდ ფერზე ხარ  
დღეს, ბურგერ.

ბურგერი.—(საწოლზედ უთითებს).—ჩემმა შვილმა  
აქ დალია სული..... (ყველანი ქუდებს მოიხ-  
დიან).

მახუცი შატი.—საწყალი გრეტიე. (მიდის მიცვალე-  
ბულთან და ხელებზე ხელს უსვამს)

ვიდეკე.—მართალია, ბურგერ, ჩვენ არაფერი შეგვი-  
ძლიან შენ გიშველოთ! შენ მხოლოდ ეხლა  
გპირია სიმამაცე, გული გაიმაგრე, დამშვიდდი

ბურგერი. (ხელს ისვამს შუბლზე)—ჰო, ჰო, ჰო.....  
მე აღარასფერი მესმის..... ცეცხლი....

ვიდეკე.—მას სხვები მოუვლიან, ისინი გააქრობენ.

ბურგერი.—(გრეტიეს მისჩერებია). წადი პოლიციაში,  
ვალდო, და შეატყობინე გრეტიეს სიკვდილი  
(ვალდი აპირებს წასვლას)

ბურგერი.—ხვალ რა მოგველის, ხვალ რა იქნება,  
ვალდო?... გაქვთ რამ ცნობა?

ვიდეკე.—ნამდვილი არაფერი. კრებამ, საზოგადოთ,  
ძალიან კარგათ ჩაიარა. მერე აფეთქების ამ-  
ბავი მოგვივიდა და კრებაც სწრაფად დაიშა-  
ლა. (მიდის). ყველას ეხლა თავი უნდა დაანე-  
ბო, ბურგერ..... ახლა შენ უნდა დაისვენო.

ბურგერი. (შესტკეპრის მას).—შენ ასე გგონია?...  
ჰო?... (სხვები ამ დროს გარეთ გასულები  
არიან).

მახუცი შატი. (მიუახლოვდება).—თუ შენთვის უხერ-  
ხული არ იქნება, ბურგერო, მე შენთან  
დავრჩები..... მე ამას გრეტიეს დავპირდი.

ბურგერი.—ჩემთან დარჩები?

შატი.—ჰო.

ბურგერი.—დარჩი გენაცვა, შატი.... სად არის ჰერ-  
მანი?... კარგი იქნება ცოტა რომ წავიძინო,  
ძალიან დაღლილი ვარ. (ჯდება სკამზე)

**გამოსვლა მესამე.**

(ამ დროს ოთახში შემოცვივნიან ახალგაზდა  
ვილკე და სხვები)

ვიდეკე.—(ძლივს-ლა იბრუნებს სულს).—ბატო-  
ნო ბურგერო, არ ვიცი თქვენ იცოდით თუ  
არა, რომ ჰერმანი ჩემ ამოსაყვანათ წამოსული-  
ყო..... საშინლათ შეწუხებული ვარ, რომ  
ჩემის გულისთვის ეს დავმართა.

(ბურგერი უტკეპრის მას და დგება სკამიდან  
და ბარბაცებს ბახი ხელს კიდებს)

ბახი. (სიჩქარით).—რა მოუვიდა ჰერმანს, ვილკე?

ვიდეკე.—საშველათ მოვიდა და მე მალლა ამომიყვა-  
ნა. ის უქულო იყო ზედ ფინჯაკი ეცვა, და  
ძალზე განარებული იყო, რომ შესძლო ჩემი  
მაღაროდან ამოყვანა; იგი მთლათ გათეთრებუ-  
ლი და გასპეტაკებული იყო. მე სრულიად  
გაოცებული ვიყავ, თითქოს ჩემ გადასარჩენათ  
ანგელოზი მომევილინა; მე თითქოს შევშინდი,  
ველარაფრის გაკეთება ველარ მოვახერხე . . .

. . . . .

მერე როგორც ჩვენ ზევით ამოვედით და მან  
სუნთქვას მოუმატა, თან ყრუთ კვნესოდა.....  
მე არ ვიცოდი, თუ ის ავით იყო.... შემდეგ,  
როცა გარეთ სიცივეზე ამოვედით, პირველათ  
ძალიან მხიარულათ მივიდიოდით..... მხოლოდ  
როგორც-კი მიუახლოვდით ჩვენ სახლს, უც-  
ბათ აუტყდა პირიდან სისხლის დენა. ვერას-





გზით ვერ შევსწყვიტეთ. ახლა ის ჩვენთან ლოგინზე დავაწინე, მე-კი თქვენთან გამოვეშურე. (შეშინებული). ჩქარა წამოდით, ბატონო ბურგერო!

**ბურგერი.** (უნდა წავიღეს, მაგრამ ვერ განძრეულა, მკვდრის ფერი ადევს ფეხზე ძლავს ღვება ხმა ვერ ამოუღია.)—მას ლაპარაკი.....კიდევ შეუძლიან?..

**გიგუკი.**—იმან მხოლოდ-ღა წაიბუტბუტა..... მიმაგ.... საყვარელო მიმაგო..... ეს სთქვა და სამუდამოთ განუტევა სული.

**ბურგერი.** (სახარელი ხმით).—წყვეული სიკვდილი!! (შემოდინან მალაროს მუშები)

**გიგუკი.** (წინ დაუხვდება).—ის არის....? (ერთი მუშათაგანი თანხმობის ნიშნად თავს უქნევს მოძრაობა—ჩოჩქალი)

**ბურგერი.** უგრძობლათ დაეშვება ძირს. ახალგაზრდვილკე და შატი წამოაყენებენ. (პაუზა) ოთახში კაცები და დედაკაცები შემოდინან მოისმის ტირილი).

**ბახი.** (ჩუმით).—ბურგერო, მეგობარო, ხმა ამოიღეთ.

**ბურგერი.** (ცდილობს ხმა ამოიღოს და ილაპარაკოს, ყრუთ ამბობს).—გესმის.... მეგობარო..... ესენი თქვენ დასაფლავეთ.... დასაფლავეთ შეიღები მე არ შემძლიან.... ჰერმანი ჩემგან კიდევ ბევრ რასმეს თხოულობდა.... იცი შეიღებისთვის რომ წესიერათ მომეცლო კიდევ დიდხანს იცოცხლებდნ.... მარა უკუღმართობა და უთანასწორო ცხოვრება ჩვენ ხშირათ გვიმასპინძლდება ამ გვარ უბედურებით, უნდავიბრძოლოთ უკუღმართობის წინააღმდეგ, უნდა ვიბრძოლოთ! (გული წაუვა და მიესვენება ამხანაგების მკლავებზე. ამ დროს შემოაქვთ ჰერმანი საკაცზე დასვენებული, თეთრ სუდარაში გახვეული, და გრეტიეს ახლოს დაასვენებენ).

**ფარდა დაეშვება.**

**თამრო ნაცვლიშვილი**

**ჰენრიხ იბსენი.**

**II.**

როგორც წინა წერილში მოკლეთ აღვნიშნეთ, ნორვეგიის ცნობილმა ლიტერატორმა, ჰენრიხ იბსენმა, განსაზღვრულ ეკონომიურ-პოლიტიკურ პირობებში შეიმუშავა განსაკუთრებული მხატვრული ნიჭი, ერთგვარი პრიმიტიული ინდივიდუალიზმი.

მისი სამშობლოს საზოგადოებრივი წესწყობილება სოციალური მდგომარეობა ძალიან ნაკლებათ საჭიროებდა მეცნიერულ და ტექნიკურ ცოდნას, წარმოების ურთიერთობა ხელს არ უწყობდა ამ გვარ ცოდნის განვითარებას, ამისთვის ნორვეგიელთა გონებრივი უნარი, სულიერი ძალა საღვთისმეტყველო, დოგმატიურ და ზნეობრივ პრობლემების (კითხვების) გადაქრას უნდებოდა. სულიერ ცხოვრების წარმომადგენლებათ, მის მთავარ ხელმძღვანელებათ უმთავრესათ სამღვდლოება ითვლებოდა. მთელი სწავლა-განათლება თეოლოგიურ (საღვთისმეტყველო) ხასიათს ღებულობდა, თეოლოგიურ და, ეთიკური გონებითი ვარჯიშობას მიეპყრო ინტელეგენტთა ინტერესი, ინტელიგენციის სულიერი მისწრაფება, თავისებურმა სოციალურმა პირობებმა, როგორც ვსთქვით განავითარა იბსენში თავისებური პირველყოფილი ინდივიდუალიზმი, რომელიც არსებითათ განსხვავდებოდა საშუალო საუკუნოების ფილოსოფიურ და ხელოვნურ-მხატვრულ ინდივიდუალიზმისაგან. იბსენის ინდივიდუალიზმი უფრო ამაყი და ეგოისტური იყო, ის უფრო შეუღრვეელი და მოუტეხელია სიმართლას ძიებაში, ქეშარიტების სიყვარულში. მხოლოდ იმავე სოციალური პირობებით აიხსნება ის გარემოებაც, რომ იბსენში ძალიან მკრთალათ და სუსტათ განვითარებული იყო გრძობა სოლიდარობისადმი.

ნორვეგიის ეკონომიურ ცხოვრებაში კაპიტალიზმის შექრა მოხდა სწორეთ იმ დროს, როცა იბსენი სრულიად ახალგაზდა იყო, სრულიად ახლათ იფურჩქნებოდა მისი პოეტურ-მხატვრული ნიჭი. მთელ ამ ცვლილებამ კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ეკონომიურათ უკან ჩამორჩენილ ხალხის აზროვნება, მოქმედებაზე, მათ ზნე-შეხედულებაზე დიდი გავლენა მოახდინა; ეს ძლიერი ცვლილება მთავარი თემაა, მის ცნობილ დრამებისა, მის ნაწარმოებში აშკარათ იხატება, კაპიტალიზმის მიერ გამოწვეული, ეკონომიური და სულიერი ცვალებადობა. იბსენის შეხედულება და გრძობა პირდაპირ შედეგია იმ მოქმედებისა, რომელიც გამოიწვია კაპიტალიზმის შემოსვლაში ნორვეგიის გლეხთა და წვრილ ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ კლასებში.

იბსენის მიერ დასურათებულ საზოგადოებაში იწყება კლასების—მსხვილ და წვრილ ბურჟუაზიის წარმოშობა. ძლიერთა და წვრილ ბურჟუაზიულ მასებში ფეხს იკიდებს ერთგვარი ბედნიერება, ცხოვრების გაუმჯობესობა, ხალხთა გამრავლება. აღემიციეობა ცდილობენ ძველ გაბატონებულ დიდ მემამულე კლასთან გვერდით შეადგინონ ახალბურ-



უჯახიულო კლასი. ჩვეულებრივი კაპიტალისტურ გამდიდრების მეთოდი, ე. ი. ზედმეტ ღირებულე ბის დასაკუთრება, ჯერ არ არის განვითარებული ამისათვის დიდ როლს თამაშოს სპეკულირება. ამ მოვლენას ასურათებს იგი ზოგიერთა თავის დრამებში, დიდი კაპიტალისტური წარმოების განვითარება, თანამედროვე პროლეტარიატის აღორძინება ნორვეგის სასოგადოებრივ ცხოვრებაში ჯერ არ მომხდარიყო; თანამედროვე „სოციალური საკითხი“ იმათთვის ჯერ არ არსებობდა. წინაღობა: კაპიტალის უქონლობა და პროლეტარიატის სიმცირე იმ მთავარ დაბრკოლებათაგანი იყო, რომელიც ძლიერათ აფერხებდა საზოგადოებრივი განვითარებას. კაპიტალის და პროლეტარულ მუშა ხელის უქონლობის გარდა ნორვეგიის საზოგადოებრივ კლასები მეტათ სუსტი იყო მეცნიერულ და ტექნიკურ ცოდნით აღჭურვილ ძალებით, ურომლისათაც მოუხერხებელია თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოების აყვავება. სროგორც კი კაპიტალისტური წარმოება ფებს იკიდებ, პირველათ ვითარდება, უცხო ინტელიგენტურ ძალების საქროება აუცილებელი ხდება. ნორვეგიაშიც, პირველათ, კაპიტალისტურ წარმოების ხელმძღვანელი ერთი ნაწილი უცხოელები არიან, უცხოელი ოჯახები სახლებიან და ისენი უდგებიან სათავეში სხვა და სხვა წარმოების დარგებს. ექვს გარეშეა, უცხო კაპიტალის შემოჭრამ, გარდა ამისა, სხვანაირი ზედგავლენაც მოახდინა ადამიანთა შეგნებაზე. მათ ნაციონალურ საწარმოვო ძალთა აღორძინება-განვითარებაზე. ორსავ შემთხვევაში საწარმოვო ძალთა ცვლილებამ დიდათ შეარყია ნორვეგიელთ ძველ ნაციონალური ზნე-ჩვეულება, ნაციონალური მორალური შეხედულება. სწორეთ ამ ხანაში ბურჟუაზიული და მოქალაქეთა ინტელიგენტური კლასები თავს ახვევენ ძველ ტრადიციულათ გადმოცემულ აზრთა ფორმებს, მორალურ შეხედულებებს, რომლებიც შეუშუშავებია ხალხს კაპიტალიზმის დაწყების ხანამდის. კაპიტალისტურ ცხოვრებაში გადასვლა, კაპიტალისტურ წარმოების ფერხულში ჩაბმა ნიშნავს შედარებით წინანდელთან, თავისუფლების სამეფოში გადახტომას, გაუმჯობესებულ ცხოვრებაში შესვლას, ასეთი ცხოვრების უკეთესობას, ცხოვრების გაუმჯობესობას პოეტი და მოაზროვნე გამოხატავს თავიანთ სულიერ ნაწარმოებში, გონებრივ ნაყოფში.

თავის ცნობილ ნაწერებში ჰენრიხ იბსენი გვიხატავს ასეთ საზოგადოებას, საცა ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობა და აქედან წარმოშობილა ზნეობა და მორალური შეხედულება, მთლათ იხრწნება, სრულიათ ისპობა. გადმოცემული შეხედულება ნამდვილი წვრილ ბურჟუაზიული—მეშახურია, მაგრამ

თავისუფალ გლებთა მეოხებით იგი მეტის-მეტათ ინდივიდუალურ ხასიათისაა. აქ პატიოსნებას, სამართლიანობას, ცოტათი დაკმაყოფრლებას პირველი ალაგი უკავია. ქალის მდგომარეობა ძველებურია: მას ეკისრება ოჯახში მუშაობა და შვილების აღზდა. საზოგადოებრივი ცხოვრება მხოლოდ მამაკაცს ეკუთნის, ცოლი მარტო მეუღლეა მისი.

(შემდეგი იქნება).

შვარცი.


### ს ა ნ დ რ ო .

სანდრო ტეტიაშვილი სოფელ ხვავეველნი იყო, რომელიც მთელი თავის მიდამოებით, მთავართ, სახნავ სათესით, ვენახებით, ტყით, წყლით და სხვა თავად თეიმურაზ უშტვინეშვილს ეკუთნოდა. ამ სოფლის გლებობისათვის ბატონ-ყნობის გადაგდებას ბევრი არაფერი სიკეფე არ მოეტანა, რადგანაც მისი ნაშთები ისევე ხელ-უხლებლათ იყვენ დატოვებულნი. პირიქით მათი მდომარეობა შედარებით უფროც გაუარესებულყო, რადგანაც ახლანდელი გართულეზული და მრავალ-მოთხოვნილებიანი ცხოვრება, —სადაც ახალი ბატონი—ფული ბრძანებლობდა, მათაც თავის ბასრ და დაუნ დომელ ბრქვალეზში მაგრათ ქაჩავდა და არსაით გასაქანს არ აძლევდა.

წლით-წლობამდის, თითო ოროლა გასუქებულ გლებს გარდა, ხვავევეთის უმრავლესობა წელეზზე ფებს იღვავდა, სისხლის ოფლს იწურავდა, მაგრამ მინც დიდ შევიწროებას, სიმშილს და სიტიტვლეს განიკდიდა. წინათ თუ მათ ერთი ბატონი ყავდათ, ეხლა მათ ათასი ბატონი დააჯდათ კისერზე, რომლებიც მათ სულს უხუთავდენ და ამონავებდენ.

ეს სოფელი ყოველ მბრივ დაცემული, გაწყალეზული და დაქვეითებული იყო, რაშიც ერთი თვალის გადავლებითაც დარწმუნდებოდით; პატრონებსავით საწყალი, მიყრეზებული და ბნელი მიწური სახლები, ერთ გვერდზე გადახრილი, უშნოთ მიგრეხილ-მოგრეხილ ბოძებიანი საბმელ-საჩაღეები, ძარები და ბოსლების ბოლოებზე დაგროვილ, აყროლებულ პატივით სავსე ხვავევეი მნახველში-მწარე ფიქრებს და გულის მომწყვეულ სიბრალოულს აღვიძებდა.

სანდროს მამა კაკოლა ერთი და საწყალეზული, თავჩაქინდრული, უენო საქონელსავით ჩუმი და წყნარი გლები იყო. გახეხილ და გახუნებულ ფარაჯაში აბუზული, წელში მორკალული მისი დატანჯულ დაღალული სახე, დატუქსული, მშიშარა



თვალეები და საერთოდ მისი მონური გამომეტყველება უსიტყვოთ მკერმეტყველობდენ იმ უსამართლობაზე, უზომო ჩაგვრაზე და უადამიანო ტანჯვა-წამებაზე, რომლებსაც ის წელში გაეტეხნათ, უდროოთ მოეხუცებინათ და უსიტყვო მონა—მჩერათ გადაექციათ.

სანდრო პიტარაობიდანვე გაეცნო სოფლის მწარე გესლიან ცხოვრებას, მის სუსხს და სიდუხჭირეს. ტკბილ ნანას მაგივრათ მას იმ თავითანვე ყურში ეწვეთებოდა მშობლების ნაღვლიანი მოთქმა-გოდება და სოფლის უსამართლობაზე. «გლებსა აკუს არც გათენებულა და არც გათენდება», გულ გატეხილ კაკოლას პირით ყოველდღე ჩასძახოდა მას უკუღმართი ცხოვრება. სანდრო თავიდანვე შეეჩვია გატანჯულ-გაწამებულ გლების გაქირვებას, რომელსაც ის თავის გრდემლზე შესაფერათ გამოაწრთო და გამოაფოლოდა.

მას ჯერ პირზე რძე არ შეშრობოდა, ძვალი არ გამაგრებოდა, რომ მამამ საქონელში უკრა მას თავი. კაკოლა მას არ იბრალებდა და ყოველთვის გაუთენებლივ მშვიდ ძილს უფრთხობდა; სანდროც ფიცხლავ წამოვარდებოდა, საჩქაროთ ჩაიცვავდა თავის დაგლეჯილ ჩოხა-ახალუხს, ასეთსავე წინდა—ქალამნებს, დაიხურავდა გაწყალებულ და გახუნებულ ნაბდის ქუდს, საიდანაც მისი აბუძგული შავი თლა ამოიკქარებოდა, თავის დაგლეჯილსავე ტილოს პარკში ჩაილაგებდა გამხმარ მქადის კუტებს, ბაწრით მხრებზე უკან მიიმაგრებდა მას და თვალეების ფშვნეტით დილის სისხამზე მინდვრისაკენ მიერეკობოდა საქონელს, რომელსაც უკან «პაო, პაო»-ს ძახილით მკვირცხლათ მისცუნცულუბდა.

ამნაირათ მიმდინარეობდა სანდროს ერთფეროვანი ცხოვრება. მაგრამ წლები წლებს მისდივდენ, რომლებიც მას გლების ჯოჯოხეთურ საქმიანობის ახალ-ახალ ტვირთებს ჰკიდებდენ. იზრდებოდა სანდრო და თან ეზრდებოდა საზიდი ტვირთიც, რომელსაც სოფლის სიდუხჭირე ზედი-ზედ უხვათ უძღვნიდა.

სანდრო დავაჟვაცდა, და დამშვენდა. შავკრემან სახეზე უღშები აუშმწვანდა; მას ახალ-გაზრდურათ სისხლი აუჩქეფდა, ძალ—ლონე გაუორკვეცდა. ის მოჭირნახულე მამას მხარში ამოუდგა და მასთან ერთად ოჯახის მძიმე ჰაპანს ეწეოდა. მართლაც წინანდელთან შედარებით ოჯახს ცოტა რამ შევება და შეღავათიანობა დაეტყო, მაგრამ უფრო მეტათ საგრძნობელი შეიქმნა ის უსამართლობა, რომელიც მათ ყოველ დღე დასტრიალებდა და თავში უკაკუნებდათ.

ოცის წლისა იქნებოდა სანდრო, რომ მთელ რუსეთში გამათავისუფლებელმა გაზაფხულის სიომ დაჰბერა. აქუხდა და ახმაურდა დაბეჩაყებულ ხალხის ზღვა, რომელმაც სულის შემხუთავ ძველ კალაპოტის ზღუდეებს ტალღა ტალღაზე მრისხანეთ და მედგრათ დაუშინა.

ხვათხვეიც ახმაურდა. მძლეთა-მძლე ბატონი თეიმურაზიც ხალხის ერთი შეტევით დაკვრით ძირს ჩამოვარდა და სასტიკათ დამარცხდა. მას ბოიკოტი გამოუცხადეს, მოსამსახურეები ჩამოაშორეს და თვითონაც ყველა განზე გაუდგენ. რუმბივით გასიებული, უზარ-ძახარი თეიმურაზი გარიცა, მას ცხოვრების წყარო უცბათ დაუშრა და მშრალზე დატოვებულ თევზსავით იწყო ფარხალი თავის მამაპაპულ დიდებულ ციხე-დარბაზში. ბუმბერაზ და ამაყ თეიმურაზს, რომლის წინაშე მთელი სოფელი, შიშით ცახცახებდა, თავზარი დაეცა; სოფელმა აშკარათ დაინახა, რომ თეიმურაზის ძლევა-მოსილობის და ყოყოჩობის მიზეზი თვითონ ხალხივე ყოფილა; ხვათხვეის მღელვარე ახალ-გაზრდობაში სანდრომ საპატიო ადგილი დაიჭირა. საერთო დრტინვამ ისიც ახალ თაობის კაცათ მონათლა და სახალხო ასპარეზზე აშკარათ გამოიყვანა. ახალთაობის საქმიანობაში მას ხელს უწყობდა მისი ცოცხალი ბუნება, ფხიზელი დაკვირვება გამჭრიახობა, კეთილი, მოსიყვარულე გული და მტკიცე ხასიათი. მოძრაობის ტალღებმა სანდრო მოსწყვიტეს ყოველ-დღიურ ჭირვარამით აღსავსე კერძო ცხოვრებას, აღტაცებული მალლა-მალლა წაიღეს და აღელვებულ ორონტრიალში ჩაითრეს.

სანდრო გულ-მოდგინეთ ისმენდა ახალ თაობის მოქადაგეთ; ის თავ-დავიწყებით დაეწაფა ახალ მოძღვრების ნაკადულს; ამ მოძღვრებამ მას ბევრი რამ ახალი, უცნობი და უნახავი გააცნო და დაანახვა. მან დღესავით ნათლათ დაინახა და საკმარისათ შეიგნო გლების ჭირ-ვარამის, მისი უბედურების და ტანჯვა-წამების მრავალი მიზეზები, რომლებსაც ის თავ-დავიწყებით შეებძოლა.

სანდრო მოქადაგებთან ერთად აზვირთებულ ტალღებზე სოფლიდან სოფლათ დაქანაობდა და ახლ ცხოვრების ახალ კალაპოტის, გზას სხვებთან ერთად, როგორც კი შეეძლო კაფავდა და წარ-ეკლისაგან ანთავისუფლებდა. ბრწყინვალოვანათა რაზმი ტყვიით და მათრახით შეეცადა მღელვარების დაცხრომას; ახალ მიმდინარეობის შეგუბებას. ზურგ გამაგრებულებმა მათ სასტიკათ დაუწყეს დევნა კერძო პირებს, რომლებიც მათ თვალში ერთათ ერთი მიზეზნი იყვენ ხალხის აღშფოთება-ამღელვარებისა.

შავი რაზმის საპატიო წევრმა თეიმურაზმა სხვათა შორის სანდროსაც დაუწყო სასტიკათ დევნა ამისათვის სანდრო იძულებული შეიქმნა ფარულათ და მღელვარათ ამოძრავებულებო და თავის დაცვის მიზნით სხვებთან ერთად მასაც იარაღისათვის ხელი წაეგლო.



ამნაირათ სანდრო მოძრაობის ტალღების შე-  
ხლ-შემოხლამ და საერთო ორონტრიალმა წითელ-  
რაზმში მოაქცია, რომელმაც შავირამზის წინააღ-  
მდეგ გაილაშქრა. სანდრომ წითელ რაზმის ერთ  
ჯგუფში ხელმძღვანელი საპატიო ადგილი დაიჭირა.

(დასასრული იქნება).

**ბ. პართენაშვილი.**

**ზ ღ ვ ა ზ ე.**

ქარი კვნესის... ტყე შრიალით  
იმის კვნესას აძლევს ბანსა  
მიწა სტირის... გაუშლია  
ფრთები ბოღმა-კაეშანსა.  
სანეტარო სიცოცხლის ჩანგს,  
დასწევეტია მთლათ სიმები  
აქეთ ოხვრა, იქეთ ცრემლი,  
იქეთ კიდევ—მოთქმის ხმები.  
შესაზარელ, შავ სიკვდილსა  
შეუბყრია არე-მარე  
კაც გამწყრალო, მოკუბრულა  
ბნეოს ჩაუნთქავს მზე და მთკარე.  
ზღვა კი, ზღვა კი მწარედ ღმუის,  
ენარცხება სალი კლდესა  
ალარ ცხრება... ბრძოლით იწვევს  
საარსებოს სიცოცხლესა.  
თვით ფერია მის ტალღებზე  
დასრიალებს უდარდელათ  
და მენავეს თვალს ჩაუკრავს  
ვნებათ ღელვის ამაშლელათ.  
მენავეც მით მოხიბლული  
თავის ნიჩაბს განზე მიდებს  
და აშიყის გასაგონათ  
ტკბილ სიმღერის ამოჰკიდებს  
მღერის: კვნესის ქარიშხალი  
ტყე შრიალით აძლევს ბანსა  
ზღვა ბობოქრობს... გაუშლია  
ფრთები ბოღმა კაეშანსა  
ტალღათ ღელვა, მათი სრბოლა  
ჩამთქვას უქადის ამ ჩემს ნავსა  
და საცაა შავს უფსკრულსა  
ულმობელოთ ის შემრთავსა  
დამაშორებს ჩემს ფერიას,  
სულზე უტკბეს მეგობარსა,  
სხივ-დიად მზეს... და ზუზუნით  
ქარიშხალი მეტყვიზ ხარსა,

მომწყვეტს ბრძოლას, ხსნისთვის ბრძოლას  
შესწყვეტს გული მთლათ ძვერას  
დავლუმდები... ვერვინ ისმენს  
ჩემს ტკბილ—მწარე სიმღერასა,  
მაგრამ ხვედრი, მწარე ხვედრი  
ვერ მიმატებს კაეშანსა  
ვიბრძვი... სანამ ზღვა არ ჩამთქავს  
არ დავუშვებ იალქანს.  
და თუ ჩამთქავს, ტანჯულ ღეშსა  
შეუერთებ შავს უფსკრულსა  
მერე მით რა? ხომ წავიღებ  
თან ფერიას სიყვარულსა?  
ასე მღერის. ზღვაც დუღუნით  
მის სიმღერას აძლევს ბანსა,  
ქარი კვნესის გაუშლია  
ფრთები ბოღმა-კაეშანსა.

**ნ. ჩხიკვაძე**

**შ ა გ ი გ კ ე ლ ი**

დრამა სამ მოქმედებათ და ოთხ სურათად.

**მოქმედნი პირნი.**

- 1. გიორგი,—შუა ხნის კაცია, ბერათ შემდგარი
- 2. ელისაბედი,—მისი ცოლი.
- 3. ვარლამი,—ბუნების მეტყველი მეცნიერი.
- 4. სპირიდონი,—ყოფილი მეზღვაური, ზღვაზე მო-  
მხდარ აჯანყებისა გამო სამსახურიდან გამოორცხუ-  
ლი; ვარლამის ძმა.
- 5. რაქდენი,—ექიმი ასიც ვარლამის ძმა არის.
- 6. მონაზონი.
- 7. დიაკონი.
- 8. მარო,—სოფლის მასწავლებელი; ვარლამის ოჯახ  
თან დაახლოვებული.
- 9. ბერათ შემდგარის ქალ-ვაჟი და ხალხი.  
მოქმედება სწარმოებს სოფლად. მეორე და  
მესამე მოქმედების შუა გაივლის სამი-ოთხი თვე.

**მოქმედება პირველი.**

(სცენა ეკლესიის გალავანში მდგომ სენაკშია. სცენაზე  
ჩანს საყდრის ნახევარი: კარები და გუმბათი. საყდარი ქვი-  
საა. სენაკის იხლო ნაძვი დვას, რომელზედაც სამრეკლოა  
მოთავსებული: ზედ ორი ზარა ჰკიდია. სენაკი ერთობ ძვე-  
ლი შენობაა და პატარა; ავსებულა ხატებით და სასულიერო  
შინაარსიან სურათებით. თითქმის ყველა ხატს სანთელს  
უნთია, საკმეველი იწვის. სენაკში საწოლიცაა, მარა ერთობ  
უბრალო. შაბათ საღამოა. ფარდის ახდისას სენაკში ჩანს  
ხატების წინ დაჩოქილი კაცი ეს ბერათ შემდგარი გიორგია-



ის მთელის თავის არსებით ლოცულობს: ხელებს ხან ხევით აატრინებს, ხან გულში იცემს. კარგა ხნის ლოცვის შემდეგ ადგება. ხატებს ჩამოკონის და გულზე ხელებ დაკრეფილი თავშიშველ-ფეხშიშველი სამრეკლოს მიუახლოვდება. ის აქაც დაჩოქილი განაგრძობს ლოცვას; სახეზე ემჩნევა, რომ რაღაცას თხოვს უფალს, ევედრება, თითქოს ტირილსაც აპირებს: მიწაზე ხოხვით უახლოვდება ეკლესიის კარებს, ამ დროს მონაზონი კარებსაც გააღებს)

**გამოსვლა პირვლი**

მანაზანი, დიაკონი და შემდეგ ბუკი.

მანაზ. შემოდი გიორგი, შემოდი ემთხვევ ხატებს... შაბათ საღამოა! (ბერი უსიტყვოდ შედის საყდარში).

დიაკონი. (საყდრიდან გამოდის წიგნით) მონაზონო, მღვდელი მალე ამოვა?

მან. მე რაში მეცოდინება? ჯერ ხომ მაინც არ ეგვიანება, დარეკილიც არაა.

დიაკონი. (იხედება საათში) დრო კია დარეკის. უთხარი გიორგის დარეკოს.

მან. (მიბრუნდება საყდარში) გიორგი, დარეკის დრო არისო!

დიაკონი. არ დამანებებს, თორემ მე დავრეკავ. (საერთო პაუზა).

მან. ეს წიგნი რისია, ერმინე?

დიაკონი. მეტრიკის. ერთი კაცი შემებეწა, პირჯვარს იწერს...

მან. სად? ჩვენს ეკლესიაზე ხომ არა?

დიაკონი. არა. კიდევ რომ დავიგვრებინდეს ჩვენ მერმე რა? უწინდებურათ არავინ ჩაგვიჩხრიალოს ასიგნაციები...

მან. მაგისი ამელი კი მაქვს...

დიაკონი. რაც დრო გადის და ვითომდა განათლება შემოდის, ხალხი სულ უარესად და უარესად ირყვნება: ღმერთს ივიწყებს, სამღვდელოებას პატივს არ ცემს, უფროსების არა წამთ რა.

მან. რა ვუყოთ მერმე: მაგივრად ღმერთი არ ივიწყებს მათ და მოავლენს რაიმე სასწაულს. განა ასე არ იყო ნოეს დროსაც და კიდევ დაისაჯა მაშინ ხალხი წარღვნით.. (ამ დროს საყდრიდან გამოდის გულხელ დაკრეფილი და თავჩაქინდრული ბერი. დიაკონი და მონაზონი თითქოს კიდევ ილიმებიან მისს დანახვაზე)

დიაკონი. გიორგი, რას უყურებ, დარეკე, დროა! ამოვა ხალხი, მღვდელიც და მეტი დროც არ იქნება.

ბუკი. (მტკიცედ) ერმინე, შენ ჩქარობ! უფალს არ უყვარს აჩქარება, ის სულგრძელია. ჯერ კიდევ ადრეა, არ დამდგარა უამი.

დიაკონი. რას ამბობ, კაცო, ადრე კი არა, დროა. აი რას ამბობს საათი (ჩახედავს).

ბუკი. შენი საათი სტყუის, ჩემო ერმინე, აგერ თითქმის ერთ წელიწადზე შეტია რაც მე აქ ვარ და ამ დროს არსოდეს არ დამირეკია,

დიაკონი. შენ იცი... (საერთო პაუზა),

მანაზ. გაიგეთ ქუდათის ეკლესია გაუტეხიათ?

ბუკი. (შიშით ფუი, ფუი ეშმაკს!.. ჯვარი აქაურობას (პირჯვარს ისახავს) როდის გაუტეხიათ?

მან. წუხელის.

დიაკონი. მე რომ არაფერი გამიგია...

მან. აწი რა ვუყოთ მერმე! შენ თუ არაფერა გაიგე, ისე არა მოხდება რა?

ბუკი. მერმე რა წაუღიათ იმ შეჩვენებულებს? ის წყეულნი, უსათუოდ ახალთაობის კაცები იქნებოდნენ! უღმერთოები, ღვთის პირიდან გადავარდნილნი!

მან. წმიდა ვასილის ხატი მოუპარავთ,

ბუკი. ღმერთო ჩემო! ეს რა მესმის? რა ჩაუღენიათ იმ საზიზღრებს!.. ღმერთო!.. ღმერთო!..

დიაკონი. შეხედეთ! და მერე ასეთი ძლიერი ხატის მოპარვა როგორ გაბედეს?!

მან. კი უნდა გაეკვივებია იქვე ის ავაზაკები წმ. ვასილს, დიდება მისს ძლიერებას.

ბუკი (რომელიც აქამომამდე შიშით ლოცულობდა) არა უშავს, ღმერთი სულგრძელია, უშოვის დროს, მოხდის სასჯელს...

დიაკონი. ალბათ ოქროს გადაადნობენ.

ბუკი. (წყენით) რას ამბობ მაგას, დიაკონო? ტუჩზე ხელი დაიკარი, ღმერთს შენდობა სთხოვე! როგორც კი მაგისთანა თავხედი აზრი გაუვლის მაგ წყეულებს, იცოდე, წმ. ვასილი მაშინვე რამე სასწაულს იქს, ეს იცოდე შენ! განა ერთხელ და ორჯერ მოიპარეს წმ. ვასილის ხატი? მარა ის ყოველთვის თავს იხსნიდა ხოლმე... წმ. ვასილი, დიდება მის სახელს, ეხლაც დაიხსნის თავს. მხოლოდ ესაა, რომ ის ავაზაკები არიან შესაბრალისნი! ოხ, მეუფეო, აპატიე მათ შეცოდებანი, რამეთუ არ იციან რას ჩადიან. (ლოცულობს)

მან, ეს ყველაფერი კარგი, მარა ერთ დროს შენც კი იყავი ახალთაგობის კაცი და....

ბუკი. (გააწყვეტინებს) კარგი ერთი, ღვთის გულისათვის! ნუ მაგონებ იმ დაწყევლილ დროს... ნუ! მე ის მეყოფა ტანჯვათ, როცა თვითონ ვიგონებ და შენ კიდევ რათ დამჩხავი თავს?..

დიაკონი. აი ნეტავი ყველა ახალთაგობის კაცი შენსავით მოქვიანდებოდეს!..

ბეკი. ყველას არ შეუძლია ქვემარტება იპოვოს. (პაუზა) მეუფეო, ყველასთვის შეძმლევ და გამჩნო, აპატივე უგუნურთ! (ლოცვით შეღის ეკლესიაში. დიაკონიც შეყვება).

**ბამოსვლა მორკე**

(ელისაბედი და მონაზონი).

ელისაბ. სადამო მშვიდობისა. მაკრინე.  
მონ. გმადლობთ. ჩემო ელისაბედ! ჩემო ღვთის ქალო, ელისაბედ. (ხელს ატოხვებს).

ელის. რას შერებთ, როგორ გიკითხათ მაკრინე?  
მონ. გმადლობთ. გვიდვია სული, შენ როგორა ხარ, როგორ გყავს შვილები?

ელის. ეხ, მტერი გეყოლა ისე მე და ჩემი შვილები რომ ვართუ... დღე და ღამე ვშრომობ, რაკი გავჩენილვარ მას აქეთ და ჩემს ცხოვრებას მაინც არაფერი ეშველა, ვერ დააღწია სიღუბ-ქირეს თავი. ქალაქში ვიყავი და შრომა აქ კიდევ უარეს....

მონ. ნუ გეშინია ელისაბედ, ღმერთი მოწყალეა.

ელის. ოხ, დაილოცოს მისი დიდება და სამართალი! ჩემს სიცოცხლეში მე მისი მადიდებელი და წყალობის მოლოდინე ვარ, მარა თავი მაინც ვერ დავახწიე ამ ტანჯვა-ვაებას. გაუშ-ჯობებსების მაგივრად სულ უარესდება...  
მონ. არა უშავს რა, ჩემო ელისაბედ! არ გაგიგონია კაცი ან თავში იქნება ბედნიერი და ან ბოლოშიო. შენ აღბად კაი ბოლო გექნება ნუ იღარდებ!

ელის. რა გავწყობა, ღარიბ კაცს იმედში ამოხდება სულიო... ჩემი ბედნიერება და კარგი ცხოვრება მაშინ მოისპო, როცა ერთობის ხმა გაი-სმა. აი რა მიძღვნა ერთობამ! (ქმარზე უთი-თებს) დაილოცა იმ ღვთის სამართალი, რას მერჩის, რა დაუშავე?

მონ. შენ ჰკუიანი ქალი ხარ, ელისაბედ, დაარ შეგ-ფერის ამაირი სიტყვები. ადამიანმა არასოდეს არ უნდა აწყენინოს ღმერთს, ვე შენი სიტყვები ღვთის გმობაა.

ელის. რათა მაკრინე, რისთვის? მე ჩემის ფიქრით-სრულებით არ ვგმობ ღმერთს, მე სამართალია ნად ვამბობ და ნურავინ ნუ გამიმტყუნებს. გამოცადეთ ჯერ ის, რასაც მე ვცდი, თქვენს ზურგზე იგრძენით ის, რასაც მე ვგრძნობ და მერე გამამტყუნეთ, მერე მიწოდეთ ღვთის მგმობელი! მე სრულს სიმართლეს ვამბობ!..  
მონ. რა უყოთ, ჩემო ელისაბედ! წუთის სოფლის ცხოვრება არასოდეს არ ყოფილა ტკბილი და

სახარბიელო, შეიძლება გვიქირს, მარა უნდა მოვითმინოთ, იმ იმედით, რომ საიქიო კარგი გვექნება... ღმერთი კი არასოდეს ცუდათ არ უნდა მოვიხსენოთ.

ელის. მე ღმერთი ცუდათ არ მიხსენებია... გამი-გონე! შენ რომ მონაზონი ხარ და ღვთის-ვედრებაში ატარებ დროს, ცდილობ ღვთის სურვილზე იცხოვრო, მე ნუ მტანჯავ მაშინ, მე ნუ მაწვალებ! შენ ევედრე შენს ღმერთს, მე კი რათ მტანჯავ შენის ლოცვით.

მონ. განა ის გტანჯავს და ამაირად გაწვალებს შენ?

ელის. ჰმ! როგორ მეკითხება? თითქოს არ იცოდეს?

მონ. ჩემო ელისაბედ, ადამიანს რაც უყვარს, იმა-აკეთებს; როგორც სურს ისე მოქმედებს. მან ღვთის სამსახური მოიწოდომა, მისი სურვილი ესაა და შენ რათ უშლი ხელს? შენც შეგეძ-ლო ამ გზას დადგომოდი ვინ გიშლიდა? მან ღვთის სამსახური გადასწყვიტა, მოინდომა სულის ცხონება? დეე, როგორც მას უნდოდეს, შენ რათ ელობები წინ? განა ამის უფლება გაქვს შენ ან სხვას ვინმეს?

ელის. მე მაკვირვებს შენი ლაპარაკი, სწორეთ, მა-კვირვებს, მეტი რომ არა გითხრა. რამდენი სიტყვა სთქვი, იმდენი შეუწყნარებელი სიბრუ-დე აღიარე. განა ამას იტყოდა დაკვირვებული ადამიანი? არა! შენ ღვთის სამსახური განიზ-რახე და სული გინდა იცხოვრო? კარგი ბატო-ნო, შენი ნებაა. მარა მე რათ მტანჯავ შენს გამო? აქ უშრომლათ დალხინებით გინდა იც-ხოვრო, საიქიოსაც იმზადებ, მე, მე კი რა? არც აქაურობა და იქაც მოუშადებელი წასვლი.

მონ. ვინ გიშლის, შენც ილოცე, მოემზადე!

ელის. მაცალე, ნუ ჩქარობი როდის მოგაგონდა შენ ღვთის სამსახური? მაშინ, როცა დაცოლშვილ-დი. თუ ბერობა გინდოდა, მანამდე სად იყავი? ცოლს რათ ირთავდი, თუ მას უარყოფდი და სხვა გზაზე ადგებოდი? დაიდე ჩემი ცოდვა, დამპირდი რჩენას და დღეს კი ქუჩაში მტოვებ შვილებით? რა ვქნა მე, ქალმა, რით ვირჩი-ნო თავი? შენ დამპირდი პატრონობას და ეხ-ლა ქუჩაში მტოვებ? და ამის ჩადენი კაცი უნდა ელოდეს ღვთისგან ცხონებას! თუ რო-მელიმე ახალთაობის კაცი ამ საქციელს ჩემს ქმარს მოუწონებს, შეარცხვინოს ღმერთმა მა-შინ მისი ახალი თაობა. შენ ქმარშვილი მაინც არ გყავს, ერთი ადამიანი ხარ, ის კი ცოლშვი-ლით დაპარკულია... შემხედე, რა დღეში ვარ?

**გამოსვლა მისამე.**

ბუკი. (რა დაინახავს ელისაბედს, მრისხანე გამომეტყველებას მიიღებს, თვალთაგან ცეცხლს აფრქვევს) კიდევ მოსულა შეჩვენებული! (მიდის და მრისხანეთ ხატების წინ იჩოქებს. საერთო პაუზა).

ელის. (ხვეწნით) გიორგი!.. გიორგი!.. (პაუზა) გიორგი!.. არ გებრალეები მაინც, შე საწყალო? არ გებრალეები? (უახლოვდება).

ბუკი. შორს!.. შორს!..

ელის. გიორგი!.. გიორგი!.. მე თუ არ გებრალეები, შენი ქალვათი მაინც შეობრალე, გიორგი!..

ბუკი. შორს სატანავ, მე ვლოცულობ!.. (პაუზა)

ელის. გიორგი, შე საწყალო, რამ გაგიქვავა ეგ გული? აკი ცოლშვილზე უკეთესი არაფერი გყოლია, ახლა რა დაგემართა? რა იყო?

ბუკი ადამიანო, მე ვლოცულობ, გესმის?!

მან. (ჩუმად ელისაბედს) აცალე გაათავოს ლოცვა (ელისაბედი ჩარბების კვანძით მოშორდება და გულშემოყრილი ჩაჯდება.. ერთ ხანს ჩუმთაა).

ელის. (ამოკვნესით) ღმერთო, რა დაგიშავე, რა შეგცოდნე მე საწყალო? (პაუზა)

მან. ნუ გეშინია, ღმერთი მოწყალეა!..

ელის. ჰმ... მოწყალეა, მოწყალეა? აი რა მოწყალებაა, ხომ ხედავ! (უჩვენებს ბერზე) აი რა მარგუნა მე მან, დიდება მისს სახელს! აი ვისი მსხვერპლი უნდა გამხდარი!.. ღმერთო! (ტირის)

ბუკი. (ლოცვის გათავების ხანს ელისაბედის უკანკნელ სიტყვებს უურს მოკრავს). შენ ღმერთი არ გიყვარს, ნუ ახსენებ მისს სახელს წარა მართ, ნუ!. შენ ბოროტი ხარ!..

ელის. გიორგი, ჩემო გიორგი! რად მექცევი ეგრე მკაცრად, რისთვის მისერავ გულს? რა დაგიშავე? რა დანაშაული მაქვს შენს წინაშე, რა ასე მომიძულე? განა მე შენი ელისაბედი არა ვარ რომელიც მთელის შენის არსებით გიყვარდა და რომლისათვისაც მზათ იყავი თავი შეგეწირა? განა გყავდა შენ ჩემზე უკეთესი ვინმე? ვინემ შეუღლებოდით, ორი წელიწადი გვიყვარდა ერთმანეთი, შემდეგ ოთხი წელი ერთად ვიცხოვრეთ!.. ეხლა რაა, ვინ შეგაძულა ჩემი თავი, ვინ?

ბუკი. (ბრაზით) ოო, ნამდვილი ევაა, მაცდური, ეშმაკით შემპყრობილი! ღმერთო!..

ელის. (უახლოვდება) გიორგი. გიორგი! განა მე

ვარ ეშმაკი? მე ვარ მაცდური? და მერმე კიდევ შენი, ჩემი ღმერთის, ჩემი იმედის?

ბუკი. ოო, მაცდური ხარ, მაცდური! ღმერთს უაღვილოდ ნუ ახსენებ, მოშორდი, წადი აქედან? წადი, ნუ მიახლოვდები, მეყო რაც ცოდვები ჩავიდინე შენთან ცხოვრებით... შაკმარე!..

ელის. ღმერთო, ეს რა შესმის?! (ჩაჯდება და ტირის),

ბუკი. ღმერთო, მიშველე, მიხსენ მაცდურისაგან! რით დავახწიო თავი ამ საშინელებას?! ეს ღვთის პირისაგან შეჩვენებული ლოცვას მიშლის, ჩემი წაწყმედა უნდა! ბოროტია მაშ რაა? მაცდურია, მაშ რაა? ფუი, ფუი ეშმაკს!.. (ლოცვით შედის საყდარში).

**გამოსვლა ნახუთი**

(მონაზონი ელისაბედი და დიკონი)

დიკონი. რა ამბავია ქალებო, რა იყო? (ელისაბედი უურადლებას არ აქცევს).

მან. საცოდაოხაა, საცოდაობა, ერმინე!

დიკონი. რაო, კიდევ ეხვეწება ელისაბედი გიორგის სახლში დაბრუნებას?

მან. ეხვეწება და მეტი არა?

დიკონი. მოუტლია მაგასაც! იცხოვროს თავისთვის თა. ვისუფლოთ, ვერ დგება უქმროთ განა? (იციინის)

ელის. (მწარეთ) შენ რა გედარდება ჩემი ტანჯვა და წამება! სასაცილო საგანი იშოვე! თქვენ დამიღუბეთ ქმარი, ოჯახი დაგვიქციეთ და ეხლა კიდევ დაგვიცინი ორთავეს!..

დიკონი. მე ვიხუმრე შე ქალო!

ელის. (მგესლიანათ) საკვირველი სინდისის პატრონი უნდა იყოს ადამიანი და ისიც დიკონი, რომ ჩემს მღვთაპარეობაში მყოფ ღმერთზე ხუმრობა დაიწყა!

დიკონი. (შეგულიანდება) მართლა კი ნუ დაიგრძელებენას, დედა-კაცო!

ელის. (შეუტევს) როგორ თუ დავიგრძელებ? თქვენ, შენ და მღვდელმა გადამირიეთ ქმარი, აკითხეთ სამღვთო წერილი, ჩააგონეთ რაღაც საშინელი აზრები, დამტოვეთ პირში ჩალა გამოვლებული და ახლა. თქვენვე დამცინით? თქვენ დააქციეთ ჩვენი ოჯახი, თქვენ გაამწარეთ ჩვენი, თუმც ღარიბული, მარა ტკბილი ცხოვრება და ეხლა ასე აბუად მიგდებთ!?

დაკ. დედა-კაცო, ენას მოუკელი! შენი ქმარი არა სოდეს არ ყოფილა ქვეუანი. ის თუ ქვეუანი ყოფილა ჯერ ერთი რომ ახალთაობაში არ გაერეოდა და თუ გაერია, მერმე არც ასე უნდა ექნა! რომელი ახალთაობის კაცი ნახე შენ ბერათ შემდგარი? დაიგრძელებს დედაკაცურად ენას! ის აკი ქალაქიდანაც თითქმის ამ აზრებით ჩამოვიდა, ჩვენი რა ბრალია?

ეკის. რათ სტყუი, დიაკონო, აგრე ურცხვად? განა გამიჩნდება ჩვენს სოფელში ისეთი ვინმე, რომ თქვას გიორგი სულელი იყოვო? პირ იქით, ის უქვეიანეს კაცად ითვლებოდა ჩვენს სოფელში. მერმე იყო და ქალაქის მუშებში ტოლი არ ყოლია, ყველაზე შეგნებული მუშა ის იყო; ყველა ამხანაგებს მისი აზრი მოწონდა, მასთან დადიოდნენ რჩევისათვის ვერც ერთი ახალ თაობის კაცი ვერ ჯობდა და შენ იძახი სულელიაო? ვერ მოგართვის! ის მშვენიერ ქვეუანზე იყო აქ ჩამოსვლისაც; როცა ქალაქში ქარხანა დაიკეტა და უმუშევრათ დაეჩით, ასე თქვა: სოფელში წავალ, მართალია არც იქ მბადია დიდი რამ, მარა ქალაქზე უფრო ადვილად კიდევ იქ შევინახავთ თავს მუშობლებ ნათესავებშიო, თან ვიმუშავებ მიწას. ამასთან ის საშინელი დადარდინებული იყო; როგორც კი მოვიდა, თქვენც შეუჩნდით და აი რა მიქენით!.. და ახლა სასაცილოთ გინდივართ? ვერა! ვერ მოგართვის! მეორეთ არ გამაგონო, დიაკონო, ამის მსგავსი რამე, თორემ ხატზე გადავცემ იცოდე?..

დაკ. შენისთანა ტუტუცს, რომ გამოგემუსაიფე, მეც ტუტუცი ვარ..

ეკის. სამწუხაროთ ძალიან გვიან გიცნია თავი! ქალებს რომ გამომუსაიფებულხარ, ისე არ გეგონო მე?!

მან. რა იყო რომ ტყუილა უბრალოზე ჩხუბობი! ვის გაუგონია დღეს ასეთი ლაპარაკი, შაბათია!

ეკის. ნურავინ გამამწარებს, თორემ არავის არ დავზოგავ! ხომ ხედავთ რა დღე მადგია: ან სიკვდილი, ან სიცოცხლე!.. ყველა მიფრთხილდეს!.. (შედის ეკლესიაში)

**გამოსვლა მესუთე.**

(დიაკონი და მონაზონი).

დაკ. ტუტუცი, უზრდელი! მაგას მისი მუშობლები ვგონივარ! უნამუსო! ისე მეტიტინება, თითქოს აქ არაფერიო! ჯერ მოიცადე შეილოსან, ჯერ კიდევ არ გაგკირებია!..

მან. შენც გლახა სიტყვები უთნარი, ერმინე, ხომ იცი ის პატიოსანი ადამიანი და ეგეთ მასხრობას ყველასაგან ვერ აიტანს და ისიც ამ დროს...

დაკ. რაო? პატიოსანია? ისე ღვერთი მას უშველის რაც ის პატიოსანია! შენ ერმინეს კითხე მისი კარგი ქალობა; თუ გინდა ეხლავე ჩამოგივლდეს რამდენი საყვრელი ყავს ჯერ ქალაქში და მერმე აქ, სოფელში.

მან. ჩუ, ჩუ: ენას კბილი, შე ცოდვილო; რას ტყუი, არა გრცხვენია? ღმერთს ცოდავ!..

დაკ. შენც ერთი! რის ცოდვა, რის მადლი? მე ვამბავ, რომ მას საყვარლები ყავს. მორჩა და გათავდა! ჩუმიად იყოს, თორემ ასეთებს გამოვა-მეჟღავნებ, რომ..

მან. გაჩუმდი, არ თქვა მეორეთ!..

დაკ. ჩემი თუ არ გჯერა, მღვდელს ჰკითხე, თურმე აღსარების დროს ყველაფერი უთქვამს!

მან. (ეჭვით) ეგებება მართლ?

დაკ. სული ნუ წამიწყდება.

მან. ამას არ დავიჯერებ, ელისაბედი პატიოსანი ქალია.

დაკ. ა, ბატონო, მოვა საღამოზე მღვდელი და ჰკითხე, თუ ტყუილი იქნეს, პირში ჩამათურთხე მან. მე არ მეუყის?..

დაკ. (სიცილით) ერთი შენებურათ გაუცინე, და თუ არ გითხრას, უღვაში ამაბუტე... სხვა-საც იმისთანებს გეტყვის, რომ...

მან. შენ გეუბნება თუ?

დაკ. ეჭვ. გეუბნება და მერე რა საინტერესოებს ჩვენში ერთი ქალი არაა, რომ... (იცინოს)

მან. ოი, გაგინმა ენა!..

დაკ. აბა რავა გგონია შენ? ქალისთივისა არაფერია ქაყანაზე. რას არ მოახერხებს, მარა მღვდელს და დიაკონს მაინც ვერას გამოაპარებს! აა, შენც არ მომიკვდე!..

მან. აი შეგაჩვენოთ ღმერთმა თქვენ (დიაკონი მიიწვევა მონაზონისკენ და რალაცას უპირებს. მონაზონი გაიწვევა) გაგინმეს! ხელები გაგინმეს! დღეს შაბათი როა არ გახსოვს?

დაკ. მერე რა? შაბათი რით გაჩორჩევა პარასკევილ-ნ? (კიდევ მიიწვევა)

მან. დაიკარგე იქეთ! (მოდის და თან ჩქმეტით დიაკონი მისდევს. მონაზონი ცდილობს ხელი არ მოკიდოს)

**კ. მალაქიაშვილი.**

(შემდეგი იქნება)



# განცხადებანი

ყოველ-კვირული საპოლიტიკო და სალიტერატურული გაზეთი

## „შ მ ნ ი“

გამოდის იმავე პროგრამით, როგორც 1909 წელს გამოდიოდა.

გაზეთის ფასი: წლიურათ

- ქალაქში დატარებით 3 მ.—; ვინც რედაქციაში მოიკითხავს გაზ. დაეთმობა 2 მ. 50 კ.
- ქალაქ გარეთ . . . . . 3 მ. — კ.
- ნახევარი წლით, . . . . . 2 მ. — კ.
- სამი თვით. . . . . 1 მ. — კ.

რედაქციის ადრესი: Кутаись, Балахванская ул. домъ. № 37- Редакция „ПОНИ“.

ყოველ კვირული საპოლიტიკო და სალიტერატურული ქართული გაზეთი

# მარცვალი

გაზეთის ფასი:

- ერთი წლით . . . . . 3 მან.—20 კაპ.
  - ნახევარი წლით . . . . . 1 მან.—70 კაპ.
  - სამი თვით . . . . . „ „ —90 კაპ.
  - ცალკე ნომერი ყველგან „ „ — 5 კაპ.
- ხელის მოწერა მიიღება: ბაქაში ჯაყელის კანტორაში ლ. ახობაძესთან, ბაქსანში ბ. კანდელაკთან (სადგურის უფროსის თანაშემწესთან), ნავთის-მწარმოებელთა ბაღაჩანის საავთომყოფოში ბ. აღლაძესთან, ჯაყელის და ამხანაგობის პრომისლანზე დ. შველიძესთან, ბაილონში ბ. კოჩინევთან, ქართულ სკოლაში მასწავლებელ რამიშვილთან, რედაქციის კანტორაში; ბაქოსადგურზე ვ-გაბუნისთან, სადგურადგი-ბუღალში ალ. ვაჩნაძესთან, ქუთაისში ისიდორე კვიციანიძესთან, ოზურგეთში კოლია შარდნაძესთან, თბილისში „სორაპ-ნი“ მისაგა, ჩეჩილაძესთან, სოხუმში რაქდენ შანგელიანთან-რედაქციის ადრესი: კოლიუბაიკინის ქუჩა.

ერივანციის სტამბა. რედაქციისთან მოლაპარაკება შეიძლება 1—2 საათამდე.

რედაქტორი ალ. ნადირაძე.  
გამომცემელი კლ. გელოვანი.

წელიწადი 1910 წლისათვის თორავა

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ-კვირული იუმორისტული ჟურნალზე

# მათრასი

და სვლამური

კირველ იანვრიდან მშრალი გამოვა გადი-ღებულ ზომის და ფეხადის კრასკებით დანიშნულად.

ინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს, აგვისტოს შირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთად

## პრემიათ გაეგზავნება ახალი კრებული

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: დეკსები, მთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვა. როგორც თრგინალური ისე ნათარქმნი.

წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდელი ფორმატის და ელირება 1 მ.

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის სრულად უნდა აუცილებლათ შემოიტანონ პირველ ივნისამდე. ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს არემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ: პირველათ 2 მ. 50კ. დანარჩენი 2 მ. 50 კ. პირველ ივნისამდე.

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა იმავე ფორმატით და იმავე შინაარსით, რედაქცია ეცდება გააუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიიღებენ აზიანი, ბლიკვადე, განჯის-კარელი, კუყავი, ვაქდემარი, ზამლეუელი, თურდოსშირელი, ასანაზანი, კენტი დეჩხუელი, მაჯაქიაშვილი, შიტნა, ტ. რამიშვილი, ივანი, ძე, რუშველი, ტუქსიაშვილი, ფან-ტუფა, ქუჩი-შვილი ხმსკვლეა და სხვანი.

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.

ფრლის გამოსავზავნი ადრესი: Тифлисъ Типографія „Шрома“ Василю Карамановичу Болквалдзе.



# ს ს ი ვ ი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

## ფ რ მ ე ბ ა

ქურნალში დაიბეჭდება: მოთხრობები, ლექსები, როგორც ორიგინალური ისე ნათარგმნი, კრიტიკული წერილები, ბიბლიოგრაფიები, ბიოგრაფიები და სხვა.

მონაწილეობას მიიღებენ:

ნ. ახანია, ახანაძე, ბ. გელა, ე. გოგუაძე, ივ. გამარტელი, ნ. ზომბეტელი, მ. იასაშვილი, ნ. ირეთელი, ა. ლალიანი, ჯგა, რ. ლეხუაძე, ვ. შალვაშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, ა. რაქვანიძე, ტ. რამიშვილი, ვ. რუხაძე, ფ. რუშაძე, ვ. ტუქსიშვილი შვარცა და სხვანი.

ქურნალი ღირს:

- ერთი წლით — — 5 მან.
- ნახევარი წლით — — 2 მ. 50 კ.
- ერთი თვით — — 50 კან.
- თითონ ნაბეჭდი — — 10 კან.

### წლიურ ხელის მომწერთ

პირველ პრემიათ მიეცემათ სტამბოლის მოთხრობა „სახლი ვოლვის ნაპირზე“.

მეორე პრემიათ—ირანთაშის ოთხ-მოქმედებიანი ახალი პიესა „სიცილი“.

პირველი წიგნი დაუბეჭდება თებერვლის დამლევს. მეორე აგვისტოს პირველ რიცხვებში. აგრეთვე დეკემბრის ნომრები უფასოდ გაეზიარება. ვინც თებერვლის დამლევამდე მთელი წლის ფულს შემოსტანს ორივე წიგნს მიიღებს.

ქურნალის გამოწერა შეიძლება თფილისში: გაზ. „ახალი სხივი“-ს რედაქციაში; პ. კალანდაძესთან წიგნის მაღაზია „ალიონში“ ვ. გადილიასთან, კირონი ქუჩა № 9; „პეჩატნოე დელო“-ში, ველიამინოვის ქუჩა № 6 ბ. კალანდაძესთან.

### ქ ა ლ ა შ ბ ა რ ე თ

ქუთაისში: წიგნის მაღ. „იმერეთში“; სამტრედიისში რკ. გზის შკ. ყ. კობალაძეშვილთან; ბათუმში—რკ. გზის შკაფში გ. მახარაძესთან; ქიათურაში—მასწ. ვ. ხურაძესთან; ჩოხატაურში—წიგ. მაღ. ს. თავართქილაძესთან; ოზურგეთში—წიგ. მაღ. მ. თალაკვაძესთან; ს. აჯიკაბულში—ვ. ყიფიანთან. და რკინის გზის ყველა სადგურებზე, სადაც წიგნის შკაფებია.

წერილები და ფული დროებით ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисть, Типографія „Печатное дѣло“ Вельяминовская ул. № 6. Поліевкту, Антоновичу Каландадзе.

გამოდის ყოველ დღე, — კვირაობით სურათებიანი დამატებით. გაზეთის ფასი დამატებინა: წლით 8 მ. 50 კ., ნახევარი წლით 4 მ- 80 კ. ერთი თვით და 50 კ. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисть, редакция „Дროაზა“, Н. С. Агладзе.

გამოდის 1910 წ. საშუაწვრილო სურათებიანი შურნალი

## „ნაკადული“

წელიწადი მეექვსე,

ხელის მოწერა მიიღება თფილისში: „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტი, 8 და. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-ახნაურობის ქარვასლა).

1910 წლის 1-ლ იანვრიდან 1911 წლის 1-ლ ნახევარწლის მიეცემა ხელის მომწერლებს: 24 წიგნი მკირეწლოვანთათვის, 12 წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიათ საბავშვო უნივერსიტეტი სამცხიური პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის:

- 1 დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი—ზღაპარი ევალდისა,
- 2) შარჯნები—ზღაპარი ევალდისა,
- 3) თორმეტი და—ზღაპარი ევალდისა,
- 4) ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.

### ფასი ქურნალისა:

- წლიურაა—ხუთი მანეთი.
- ნახევარ წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი.

### საზღვარ-გარეთ.

- წლიურათ—შვიდი მანეთი,
- ნახევარი წლით—ოთხი მანეთი.

მკირეწლოვანთათვის 24 წიგნი 3 მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მანეთი.

რედაქტორი: მარამ ივანეს ასული დემურასა.

გამომცემელი: თ. შავლე იოსების ძე თუმანიშვილი.